# მომავალი

№ 1

ოთხშაბათი, 26 აგვისტო, 1909 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი"

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთის ფასი:

როგორც თფილისში ისე ტფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

| ქალაქ გარეთ | თფილისში |
|---|---|
| 3 თვით—2 მან. 50 კაპ. | 3 თვით—2 მან. 20 კაპ. |
| 1 „ — — 90 „ | 1 „ — — 80 „ |

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან

ცალკე ნომერი ყველგან—ერთი შაური

გაიხსნა ახალი

თფილისის

კერძო სამკურნალო

[...]ია ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. [...]გზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ი. ზ. ფიდლერთვი: ყოველ დღე, გარდა [...]თხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. ვ. ლამბაშიძე: ყოველ დღე, კვრა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავთმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ბ. ა.ი პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღბა 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიახამიძე: ყოველ დღ $11^1/_2$— [...] ქალის ავამყ.

კანტორა ღებულო[...]დღე; 1—2

საკომისიოთ წიგნებს და [...]

[...] 2—3 ს.; [...] ავათმყ.

ექ. ვ. ს. მუხხელიშვილი: ყველ დღე, [...]ირა დღ. გარდა 2—$2^1/_1$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა [და] ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—45

ქართველ ინტელიგენტურ ოჯახში

ვღებულობთ სრულ პანსიონში მოსწავლეებს (სასურველია პროვინციიდან). შეიძლება აგრეთვე მომზადება.

ადრესი: მალაკანის ქ. № 50, ბინ 17.

(10—5)

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი [5]—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

ნაფიცი ვექილი

ნიკო ელიავა

გადავიდა ოლგინსკი ქუჩაზე, სახლი № 47.

3—3

აბასთუმანში

კბილის ექიმი

სამსონ ვაშაყმაძე

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე ბარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

ქ. ქუთაისში

თ. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი

„გუთანი",

შედგენილი ქართულ. გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ.

(თვ. 0—13)

**თფილისი, 26 აგვისტო**

ბატონი კ. თუმანიშვილი „ივერიის" უკანასკნელ ნომერში, სამშობლო განსაცდელშიაო—აცხადებს. მან ქართველი ერის საერთო მტერი აღმოაჩინა. ეს მტერი გახლავსთ რუსის ხალხი; არა რუსეთის მთავრობა, ბიუროკრატია, არა რუსეთის რომელიმე ერთი კლასი ან წოდება, არამედ მთელი რუსობა. ამ აღმოჩენისთვის ბატონ თუმანოვს დიდი კვლევა-ძიება როდი დასჭირებია. მან მხოლოთ გაკვრით შეადარა რუსეთისა და იაპონიის პოლიტიკა და კულტუროსნობა თავიანთ სახელმწიფოებში საერთოთ და კერძოთ განაპირა ქვეყნებში, სადაც „ინოროდცები" ცხოვრობენ. მოკლეთ მოგვითხრო ის ამბავი, თუ როგორი მედგარის ხელით აბამს იაპონია-მანჯურიას საერთო კულტურის ფერხულში, იმ მანჯურიას, სადაც ამ სამი წლის წინათ, „რუსი მხოლოთ არაყის სმასა და სხვა უზნეობასავრცელებდა". მიზეზი ასეთი განსხვავებისა? მიზეზიც მეტათ ადვილი და მარტივი გასაგებია. „სხვების კულტურის გასანვითარებლათ საჭიროა ამ სხვების სიყვარული, სხვების გაცნობა—რუსებს კი, სხვების—„ინოროდცების", არც გაცნობა აქვთ და არც სიყვარული... და „ასეთი გაუცნობლობა და უსიყვარულობა რუსებმა მარტო მანჯურიაში როდი გამოიჩინეს, ესევე ზნე სჭირთ რუსებს პოლონეთში, საქართველოში და სხვაგან". აი როგორ ადვილათ გამოხსნა ამ უებრო პუბლიცისტმა გორდიოზის კვანძი! აქ თურმე რა შუაშია რუსეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობა, მისი დღევანდელი სოციალ-პოლიტიკური ვითარება. იაპონელები თუ მანჯურიაში კულტურას მტკიცე საფუძველს უყრიან, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ ისინი მეტათ გულკეთილნი არიან, იმათ „ინოროდცები" ძალზე უყვართ, კორეიელები და მანჯურიელები თავს ურჩევნიათ. რუსებს კი „ინოროდცები" სძულთ და ეზიზღება, რასაკვირველია იმისათვის, რომ ასეთია საერთოთ რუსის ხალხის თანდაყოლილი თვისება, მისი ნაციონალურ-სპეციფიკური ბუნება. „ასეთი ზნე სჭირს რუსებს საერთოთ". ერთი სიტყვით, ბ. კ. თუმანიშვილი თავის „ღრმა" ანალიზში იმ დასკვნამდე მიდის, რომ „რუსი გაუტანელია, ის წელ გაურეცხელია". აი სად არის მთელი უბედურების სათავე, აი საიდან მოელის საფრთხე საქართველოს და მის კულტურას. მაშ ასე, მტერი აღმოჩენილია და მტრის გარდუვალი თვისება ისეთია, რომ მასთან ზავისა და შეთანხმების ჩამოგდება ყოვლათ შეუძლებელია, ის ბუნებით მოკლებულია მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობას. მისი გაკეთილშობილების იმედი ხომ ტყუილი ოცნებაა. კუზიანს მარტო საფლავი გასწორებს და აი, ბატონი თუმანიშვილიც ისხამს აბჯარ-ჯავშანს, ფარხმალს მოიმარცებს და დიდის ფახი-ფუხით ყიჟინასა სცემს: „ბრძოლა ძმებო, ბრძოლა მამა-პაპური"-ო მაღლა აფრიალებს თავის შოვინისტურ დროშას, რომელზედაც წაწერილია: „ძირს რუსობა"-ო! და ამ დროშის ქვეშ მოიწოდებს მთელ ქართველ ერს, რადგან დარწმუნებულია და ჩვენც გვარწმუნებს, რომ მთელ რუსობას „თანასწორათ ეჯავრება ქართველი მუშა, ქართველი გლეხი, ქართველი ინტელიგენტი, ქართველი ვაჭარი და სხვა". ეს კიდევ ცოტაა. თურმე ნუ იტყვით, რუსეთის მთავრობას ისე ეჯავრება განსაკუთრებით ქართველები, რომ ის ყოველთვის რუს სოციალისტს უფრო მიემხრობა და პატრონობას გაუწევს, ვიდრე ქართველ მონარქისტს. და აბა, მკითხველო, განა ბ. თუმანიშვილის ასეთი აღმოჩენის შემდეგ გაგიკვირდებათ, რომ „ივერიის" მომავალ ნომერში შემდეგი ამბავი წაიკითხოთ: ჯაუგია რა უმაღლეს მთავრობას, რომ ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი, მფლობელი იალტისა ივანე დუმბაძე, მის და მიუხედავათ, რომ ის მონარქისტია მხოლოდ ქართველობისათვის კატორღაში გაუგზავნია, ხოლო, აღმოჩნდა რა, რომ ხრუსტალიოვმა მუშათა დეპუტატების საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ არ ეკუთვნის არც „ეიდთა" და არც ქართველთა ტომს, უმალვე ამნისტია მიიღო და დუმბაძის ყოფილი სამფლობელო ჩააბარეს.

ჩვენ ვითომ აზრათ გვქონდა ბ. თუმანიშვილის წერილის არსებითათ გარჩევა, მაგრამ იმედია დაგვეთანხმება მკითხველი, რომ ამ წერილში გამოთქმული მოსაზრებანი იმდენათ ხეპრე და ველურია, რომ მათი არსებითი კრიტიკა სრულიათ ზედმეტი ბარგია. არ გვაშინებს ის გარემოება, რომ ვითომც თუმანიშვილის წერილმა ვინმე დაარწმუნოს ასეთი აზრების ჭეშმარიტებაში, არც ის გვაშინებს, რომ ბ. თუმანიშვილის საომარ ყიჟინამ რაიმე გამოძახილი იპოვოს. ის, უეჭველათ, თუმცა გმირულათ, მაგრამ მაინც მარტოკა იაქესავით, დარჩება ბრძოლის ველზე.

ყურადღების ღირსია ამ შემთხვევაში შემდეგი გარემოება: ბ. თუმანიშვილი სწერს: „ეს მტერი (რუსის ხალხი) ყველას თანასწორ შევიწროებას გვიქადის, ეს მტერი ყველამ მტრათ უნდა იცნას, ამ მტერს ყველამ თანასწორი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს. ის ადამიანი, ის პარტია, რომელიც ხალხს ამ მტრის არსებობას უმალავს, ამით აბრმავებს ხალხს და მტერს კი ქართველებზე გამარჯვებას უადვილებს". ის ადამიანი, რომელიც ამას ჩადის „ხელს უწყობს გაათელვინოს ქართველი ერი მასზე მოსეულ რუსის ტალღას". აქ, როგორც ხედავთ, რუსებსა და ქართველებს შორის ყოველივე გზა და ხიდი ჩატეხილია. მორიგებულ-შეთანხმებულ მოქმედებაზე ლაპარაკი არამც თუ ზედ მეტი ბარგია, ღალატსაც უდრის. აქ ალაგი აქვს მხოლოთ ბრძოლას, ბრძოლას სასტიკს და დაუნდობელს. ამნაირათ, იმ პირებს, რომელნიც ცდილობენ ამ ორ ერთა შორის გაუვალი უფსკრული ამოავსონ შეურიგებელი წინააღმდეგობა მიაფუჩეჩონ, ბ. თუმანიშვილი სამშობლოს მოღალატეთ აცხადებს, მაგრამ ერთი ვიკითხოთ: არიან თუ არა ჩვენში ასეთი პირები, ან ორგანოები? რასაკვირველია არიან. აი თუ გინდ აიღეთ მეორე მეორშაბათე გაზეთი „ნ. ტიფლისი". იმავე დღის ნომერში მოწინავე წერილში ეხება კავკასიის მომავალ სენატის რევიზიას და ემუდარება მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლებს განაგდონ მექრთამეობისა და სხვა ბოროტების სატანა თავიანთ საშოდან, „განიწმინდონ, განიბანონ" რათა პირნათლათ წარდგენ მომავალ სამსჯავროს წინაშე. რომ ეს მთავრობის აგენტებს შეუძლიათ, ამის დასამტკიცებლათ წერილის ავტორი მიგვითითებს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ სლავოჩინსკიზე, რომელმაც თავისი უარყოფითი შეხედულება მექრთამეობაზე უკვე პრესის საშვალებით გამოთქვა.

„ჭეშმარიტების გამორკვევა—განაგრძობს გაზეთი—როგორიც არ უნდა იყვეს, აღამაღლებს ხალხის თვალში მთავრობის პრესტიჟს და ამ პრესტიჟის აწევა განსაკუთრებით საჭირო არის სენატის რევიზიის მოლოდინში".

როგორც ხედავთ, ეს გაზეთი ბატონი თუმანიშვილის ანტაგონისტია. პირველი ქადაგობს ერთობას, სოლიდარობას რუს და ქართველთა შორის და წელებზე ფეხს იდგამს, რომ ქართველ ხალხის თვალში მთავრობის პრესტიჟი ასწიოს და, მთავრობისადმი—ხალხის. უკანასკნელი კი, აშკარაა, ბრძოლას უცხადებს რუსობას საერთოთ და ფარხმლით ხელში (თუმცა ენა აქვს ფარხმლათ და სისხლათ შავი მელანი) მოიწოდებს ქართველთა ლაშქარს რუსთა შესამუსრათ... გაზ. დიამეტრალურათ წინააღმდეგ პოლიტიკას აწარმოებენ და ბ. თუმანიშვილიც „ივერიის" შემდეგ ნომერში უეჭველათ რისხვათ მოევლინება „ნ. ტიფლისის" მებაირახტრეს, რომ... რომ გაზ. „ნ. ტიფ." რედაქტორ-გამომცემელათ არ ითვლებოდეს... ბატონი კონსტანტინე თუმანიშვილი. ნუ გაიკვირებთ მკითხველო ამ გარემოებას. საქმე იმაშია, რომ „ივერია" ქართულ ენაზე იბეჭდება და ქართულ ლაშქარს იწოდებს საომრათ. ის, ასე ვთქვათ, შინაურ პოლიტიკას აწარმოებს, ხოლო „ნოვი ტიფლისი" რუსულ ენაზე გამოდის. მისი საგანი ასე ვთქვათ, საგარეო პოლიტიკაა, და რა გასაკვირალია თუ იქ ზოგიერთ ძლიერთა ამა ქვეყნისა ხშირათ დღეზებს ულოცავენ. დიახ, ეს გაზეთები ორნი არიან, ერთის არიან, მაგრამ თვისათ დადიან, ცალკე მღერიან. ერთი რომ ომს ქადაგებს, მეორე ზავზე და მშვიდობიანობაზე ლაღადებს, ერთი რომ სტირის, მეორე იცინის. სწორეთ ისე, როგორც სიამის ტყუპები. ასეთი გახლავთ საქართველოს იანუსის ორმაგი ბუხგალტერია პოლიტიკაში.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 აგვისტო.

### სპარსეთი.

**თავრიზი.** გენერალ-გუბერნატორ მუგბირუს-სალთანეს სავსებით ჩააბარეს იარაღები, რომლებიც სალდათ პეტრენკოს დაჭრის გამო მცხოვრებთ ჩამოართვა რუსეთის ჯარმა.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** გამოქვეყნდა 7 მილიონ გირვანქა სესხის პირობები ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავათ.

**სალონიკი.** მოხდა ბერძენთა მიტინგი. დაესწრო აუარებელი ხალხი. მიტინგზე პროტესტი განაცხადეს მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ. პარლამენტის მიერ მიღებულ კანონ-პროექტიდან სადაო ეკლესიების შესახებ, მხოლოდ სამი მუხლი შეიტანეს ხმარებაში. დაადგინეს სთხოვონ სენატს—არ შეიტანონ ხმარებაში კანონ-პროექტი, სანამ ის არ დაკანონდება.

### რუსეთი

**გუნიბი.** მოვიდა კავკასიის ნამესტნიკი. პლასტუნთა ბატალიონის საპატიო ყარაული შეხვდა. მთელი მიდამო გაჩირაღდნებულია; გუნიბის და ახლომახლო მთები განათებულია. ნამესტნიკმა მიიღო ყარაული და წავიდა ოლქის უფროსთან, სადაც მიიღო მცხოვრებთა და მოხელეთა დეპუტაციები.

**მოსკოვი.** 23 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე ცეცხლი გაუჩნდა დოლის საზოგადოების ტრიბუნებს. ზარალი 20,000 მანეთამდეა.

**სარატოვი.** დაიჭირეს 1906 წელს თებერვალში კატორღიდან გამოქცეული ალექსანდრე კარრი, რომელსაც მოსკოვში დედისა და ორი შვილის მოკვლისთვის კატორღა ქონდა გადაწყვეტილი. კარრი აზნაურ სემიონოვის სახელით სცხოვრობდა.

**მოგილევი** (საგუბერნიო). სოფელ ლომსკში, სენნენსკის მაზრაში, დაიწვა 64 მოსახლე გლეხი. ზარალი 40,000 მანეთამდეა. დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოწირულების შესაკრეფათ ნება დართეს.

**პეტერბურგი.** სახალინის სამხედრო გუბერნატორი გენ.-მაიორი ვალუევი დაინიშნა სახალინის ოლქის გუბერნატორათ.

**სევასტოპოლი.** საზღვაო სასამართლომ ისევ გაარჩია ორჯერ განხილულ-ბული საქმე, ნაღმის აფეთქების და ორი მატროსის დაღუპვის შესახებ და ლაბორატორიის გამგე პოდპოლკოვნიკ პოდიაპოლკის გადაუწყვიტა სამი თვის ციხე, ხოლო მთავარი მენაღმე გაამართლა.

**უფა.** დიდებულათ გახსნეს საშუალო ტეხნიკური სასწავლებელი.

**პეტერბურგი.** 1 იანვრიდან 15 აგვისტომდე ციმბირისკენ გადასახლდა 628,604 კაცი, უკან დაბრუნდა ამავე ხნის განმავლობაში 85,424.

**ვოლკი.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა გახსნას ქალაქის ხარჯზე რეალური სასწავლებელი. მის შესანახათ მცხოვრებლებმა შეკრიბეს 7000 მანეთი.

**ბაქო.** აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის 50 წლის სახსოვრათ, ნამესტნიკის განკარგულებით გრადონაჩალნიკმა გაანთავისუფლა ორი კვირით დატუსაღებულნი და 50 მანეთით დაჯარიმებულნი.

**სევასტოპოლი.** „კამბოლას" ამოღების საქმე წინ მიდის.

**ნოვოჩერკასკი.** ტაგანროგის ოლქში დაიჭირეს ბროდსკის მადნების სამი მძარცველი, სამივე რკინის გზის მოსამსახურეა.

**იაროსლავლი.** გუბერნატორმა გახსნა მიწის მომწესრიგებელი კომისია.

**ოდესა.** 23 აგვისტოს საღამოს კარუქმენგის აგარაკში ყუმბარა გადააგდეს. ყუმბარა გასკდა, არავინ დაშავებულა.

### ხოლერა.

**კრონშტადტი.** ახლათ არავინ გამხდარა ხოლერით ავათ. საავათმყოფოში არის 3.

**კრემენჩუგი**, ორ დღე და ღამეში ავათ გახდა 7.

**კირილლოვი.** ავათ გახდა 5, მოკვდა 1.

**ნოვო-ალექსანდროვსკი.** ავათ გახდა 7, მოკვდა 5.

**მოგილევი.** თავიდანვე ქალაქში ავათ გახდა 3, კინიშევსკის მაზრაში—1, მაკარიევსკისაში—1.

**იაროსლავლი.** ორ დღე და ღამეში ავათ გახდა 21, მოკვდა 8. მაზრებში ავათ გავდა 8, მოკვდა 7.

**პეტერბურგი.** ავათ გახდა 23, მოკვდა 7, ავათ არის 284.

### საზღვარ-გარეთ

**მადრიდი.** როგორც გაზეთი „იმპარსიალი" იტყობინება, მეთორმეტე დივიზია, რიცხვით 11,000 კაცი მელილიაში მიდის, გენერალ სოტომაიორის მეთაურობით.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს დეპეშით ატყობინებენ პეკინიდან, რომ ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულობის ძალით იაპონია კორეია-მანჯურიის საზღვრათ სთვლის მდინარე ტუმინს. იაპონია გაანთავისუფლებს ჩიტაუს ორ თვეში, გირინის რკინის გზის გაგრძელება მოხდება ორივეს შეთანხმებით, დაინიშნებიან მოხელეები ფუშუნის და იანტაის სამთოსამადნო რაიონების საზღვრების დასადებათ.

## უკანასკნელი ფოსტა

### სპარსეთი.

**სპარსეთის მდგომარეობა.** „ბერ. „ტაგ. სწერს: „სპარსეთის მთავრობა უფულობით დიდ კრიზის განიცდის. ამ კრიზისს კიდევ უფრო ამწვავებს არეულობა პროვინციებში. ბანკები სესხზე უარს ამბობენ. უცხოეთის მთავრობებს კი, როგორც ეტყობა, გადაწყვეტილი აქვთ, მანამდე არ მისცენ სესხი სპარსეთს, სანამ სახელმწიფოს ხარჯებს უცხოეთის ფინანსიურ კანტროლს არ დაუმორჩილებენ. სპარსეთის ნაციონალისტები კი ენერგიულ პროტესტს აცხადებენ უცხოეთის ჩამო-

რევაზე სპარსეთის ფინანსიურ საქმეებში. უფულობის გამო მთავრობამ ვერ შესძლო პროვინციებში ჯარის გაგზავნა წესიერების აღსადგენათ. ანარქია ისევ ძლიერია. ამიტომ, არც კი უნდა გაგიკვირდეს, თუ ერთ მშვენიერ დღეს, რუსეთის ჯარი ბრძანებას მიიღებს—აღადგინოს წესიერება. ინგლისის ვაჭრობაც კრიზისს განიცდის, ამიტომ შეიძლება ინგლისიც ასე მოიქცეს. თუ ასე გაგრძელდა და მთავრობამ ვერ შესძლო ფულის შოვნა, მოსალოდნელია ნაციონალისტებს შორის განხეთქილება მოხდეს. ძალიან სამწუხაროა, რომ მეჯლისის მოწვევა ოქტომბრის შუა რიცხვებამდე შეუძლებელია".

## ოსმალეთი.

**დინასტია განსაცდელშია!** ვენის გაზეთები ირწმუნებიან, საბერძნეთის კრიზისი ჯერ კიდევ არ შეიძლება გათავებულათ ჩაითვალოს, რადგან ქვეყნის ბედიღბალი ამ ჟამათ ერთავათ ჯარის ხელშია, რომელიც მტრულათ უცქერის დინასტიასო. იგივე გაზეთები ირწმუნებიან, რომ საბერძნეთის ბევრი აფიცერი ახალგაზდა ოსმალთა აფიცრებთან კავშირს აბამს, გარს იკრებს ოპოზიციონურ ელემენტებს და სახელმწიფოს რადიკალურ გარდაქმნისათვის ემზადებაო. ასე რომ, ათინაში ახლო მომავალში დიდი ამბებია მოსალოდნელიო.

## რუსეთი

**სახალხო სოციალისტები და არჩევნები.** სახალხო სოციალისტების პარტიის კომიტეტმა განიხილა პეტერბურგიდან სახელმწიფო დუმის წევრის არჩევის საკითხი და საჭიროთ ვერ დაინახა თავისი კანდიდატის წამოყენება. დაადგინა ურჩიოს თავის წევრებს ხმა მისცეს ნაფიც ვექილს სოკოლოვს.

**მემარჯვენეები და გერცენშტეინის მკვლის საქმე.** მემარჯვენე ორგანიზაციებს აზრათ აქვთ სთხოვონ დუმის მემარჯვენე ფრაქციას შეიტანოს დუმაში საკითხი გერცენშტეინის მოკვლის გამო დუბროვინის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ფრაქციის იურისტების აზრით ასეთი შეკითხვის შეტანა არ შეიძლება, რადგან მთავრობის მოქმედება ამ საქმეში კანონიერია.

**ყალბი ფულები.** ტულაში აღმოაჩინეს ყალბი ფულების საჭრელი ორი ფაბრიკა. ერთი ადგილობრივ ციხეში, სადაც ოქროს ფულებს სჭრიდენ, მეორე სოფელ ჩულკოვსკში, სადაც ისე კარგათ სჭრიდენ ვერცხლის ფულებს, რომ ექსპერტიზამაც ძლივს გაარჩია ის ნამდვილი ვერცხლის ფულებიდან.

**პროვოკატორი ქალი ჟუჩენკო.** გაზ. „რუს. სლოვო"-ს კორესპონდენტმა ინახულა პროვოკატორი ქალი ჟუჩენკო, რომელმაც შემდეგი სთქვა:

— მე პროტესტს ვაცხადებ მიწოდონ „პროვოკატორი", მე პროვოკატორი არ ვყოფილვარ, ჯაშუში ვიყავი, მე განცვიფრებაში მოვდიოდი როგორ ნდობით მეპყრობოდა ცენტრალური კომიტეტი. ბურცევმა შეატყობინა ცენტრალურ კომიტეტს ჩემი მოქმედება, ის სასაცილოთ აიგდეს და უთხრეს ემოქმედა თავის პასუხის გებით. მე შევედი ს.-რევოლიუციონერთა პარტიაში, როცა დაცვის განყოფილებაში ვმსახურებდი, ჩემმა აღმზრდელმა სემიაკინმა და ზუბატოვმა მთელი წელი მამზადეს ამ სამსახურისთვის. აზეფის შესახებ მე ვიცოდი და მან კი ჩემზე არაფერი იცოდა. მე ვიცნობ კიდევ სხვა აგენტებს, რომლებიც ს.-რევოლიუციონერთა პარტიაში ითვლებიან და გარწმუნებთ, რომ ათ ს.-რევოლიუციონერზე სამი პოლიციის აგენტი მოდის. როცა გასულ წელს ლონდონის კონგრესზე მე დავინახე მრავალი ჩემი კოლლეგები და გავიგონე აზეფის და სხვების პროვოკატორული სიტყვა, მინდოდა დამეყვირა:

— ბატონებო! მე ჯაშუში ვარ! აზეფი—საზიზღარი, გაახილეთ თვალები, მიიხედეთ გარშემო.

არ ვიცი, რამ შემაჩერა, მეშინოდა, რომ გიჟათ ჩამთვლიდენ.

ფრუკმანის ქალი მე გავეცი. მე თვითონ დავუკერე მას ჯიბე რევოლვერისთვის. უკანასკნელ სამ წელს მე ვცხოვრობდი მოსკოვში. მე მივიღე ბურცევის წერილი პარიჟში წავსულიყავ, და გამეცა ჩემი თანამოსამსახურენი, მაგრამ უარი ვთქვი. მოკვლის მე არ მეშინია. მე ვიცი, რომ მომკლავენ. დამალვა არ შემიძლია, რომ არ სთქვან, რომ სიკვდილის მეშინია. ბერლინიდან იმიტომ გავდივარ, რომ ამას თხოულობს ადგილობრივი პოლიცია, რომელთანაც მე არავითარი კავშირი არ მქონია. მე სინდისი წმინდა მაქვს, რადგან ვმუშაობდი ჩემის რწმენის თანახმათ, ერთათ-ერთი ჩემი დანაშაული ის არის, რომ ქმარს გავყევი, მე უფლება არ მქონდა გათხოვების; მე დიდი ხანია დავსტოვე ქმარი და მან არაფერი არ იცის ჩემი არსებობის შესახებ.

## ისპანია

**მდგომარეობა ბარცელონაში.** რევოლიუციის ჩასაქრობათ ესპანიაში მთავრობამ სასტიკ ზომებს მიმართა. ჯერჯერობით დატუსაღებულია 920 კაცი. ატუსაღებენ კიდევ ბევრს. შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ბევრს დაიჭერენ, სანამ ძირიან-ფესვიანათ არ აღმოფხვრიან „ანარქიზმს და სარწმუნოების წინააღმდეგ მოძრაობას. ამ მიზნის მისაღწევათ მან მიმართა ესპანიის მთავრობის ჩვეულებრივ ზომებს. დღემდე ბარცელონაში დახურეს რადიკალური პარტიის 120 კლუბი, 94 მუშათა საღამოს სკოლა. მთავრობის საწინააღმდეგო ყველა გაზეთები ზოგი დახურეს და ზოგი დაჯარიმეს.

გაზეთ „ელ პუებლო"-ში, რომელიც ვალენსიაში გამოდის, მოყვანილია საინტერესო ცნობები მონასტრების გამრავლების შესახებ, რომლების წინააღმდეგ მიმართული იყო უმთავრესათ ხალხის მოძრაობა:

1860 წელს ბარცელონაში და კატალონიაში მამაკაცთა მონასტერი სულ არ იყო, დედათა კი 22. 1899 წელს ბარცელონაში იყო 22 მამაკაცთა მონასტერი და 94 დედათა, კატალონიის დანარჩენ ოლქებში 18 მამაკაცთა და 95 დედათა. ამ გვარათ, 39 წლის განმავლობაში კატალონიაში მონასტერთა რიცხვი ავიდა მამაკაცთა 50 და დედათა 175-მდე. ამის შემდეგ თუმცა ოფიციალური ცნობები არ ყოფილა მონასტრების შესახებ, მაგრამ ეჭვი არაა, მათმა რიცხვმა ამ ხნის განმავლობაში შესამჩნევათ იმატა. წერილის ავტორის სიტყვით კატალონიაში დღეს 500 მონასტერია და რადგან მონასტრები თავისუფალნი არიან ყოველგვარ ბაჟებისაგან, მრავალი მათგანი პირდაპირ სამრეწველო დაწესებულებას წარმოადგენს და დიდ კონკურენციას უწევს ხელოსნებს და წვრილ მწარმოებლებს.

## საზღვ.-გარეთ.

**გაფიცვა შვეციაში.** შვეციის „მწარმოებელთა" კავშირმა ამ დღეებში პატარა წიგნაკები დაგზავნა. ამ წიგნაკში მოთავსებულია წერილი, რომელიც მთავრობის ოფიციალურ ორგანოში დაიბეჭდა. წერილი ნემეცურათ გადათარგმნილია. საინტერესოა ამ წერილის შინაარსი. იქ მწარმოებლები აშკარათ აღნიშნავენ თავიანთ ორგანიზაციის მებრძოლ ხასიათს, რომ ალაგმონ მუშები და მიწასთან გაასწორონ მათი ორგანიზაციები, მოგვყავს ზოგიერთი ადგილები ამ წერილიდან:

„მწარმოებელთა სამივე კავშირი მუშათა ორგანიზაციებიდან მით განსხვავდება, რომ მჭიროთ შეკავშირებულია და ამიტომ ადვილათ შეუძლია გასწიოს ბრძოლის პოლიტიკა. მწარმოებელთა სხვა კავშირებს (სტამბების, სოფლის მეურნეთა და სხვა) არ აქვთ ასეთივე მებრძოლი ორგანიზაციები. მწარმოებელთა კავშირებმა ზომები მიიღეს, რომ წარმოებების ერთ დარგში მომხდარ კონფლიქტის დროს, საჭიროების მიხედვით გადაიტანონ ბრძოლა წარმოების სხვა დარგებზე. კოლლექტიურ ხელშეკრულობაში მათ ისეთი მუხლი შეიტანეს, რომლითაც მათ ნება აქვთ დაარღვიონ ხელშეკრულობა „სიმპატიის გულისთვის" (ე. ი. მხარი დაუჭირონ ამხანაგებს წარმოების სხვა დარგში კონფლიქტის დროს) მწარმოებლებში აგრეთვე აზრი დაიბადა სასტიკი ბრძოლა გაუწიონ მუშებს და დაანახონ მათ მწარმოებელთა ძლიერება.

ასეთი აშკარა აზრები მრავალია ამ წერილში. ამიტომ „ფრანფურტერ ცაიტუნგი"-ს კორესპონდენტი ამბობს, რომ მუშები პირდაპირ იძულებული იყვნენ საერთო გაფიცვისთვის მიემართათ. ყოველ შემთხვევაში, მოყვანილი ციტატები სრულიად ეწინააღმდეგება მწარმოებელთა რწმუნებას, რომ ისინი ცამდე მართალი არიან და გაფიცვა პირდაპირ მუშათა ბრალი იყო.

— სრულიათ შვეციის მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენელთა კრებამ ერთ ხმათ უარყო წინადადება მთავრობისადმი შუამდგომლობით მიმართვის შესახებ ორგანიზაციის სახელით. ამავე კრებაზე ერთმა წარმომადგენელთაგანმა განაცხადა, რომ გაფიცვის კასაში ჯერ კიდევ ბლომათაა ფული და ბევრიც მოდის საზღვარგარეთიდან მაგ. დანიიდან ამ დღეებში კიდევ მივიღეთ 180,000 კრონი, ხოლო გერმანიიდან—400,000 კრონი. რკინის გზის მუშებმა, რადგან გაფიცვას მხარი ვერ დაუჭირეს, გადასწყვიტეს მატერიალური დახმარება გაუწიონ გაფიცულებს, რისთვისაც გადასდვეს 120,000 კრონი. გაფიცვის კომიტეტმა დღემდის 25,000 კრონის კუპონები დაარიგა. წესიერება სტოკჰოლმში ისევ ჩინებულია. მუშათა თავდაჭერილობას ყველა განცვიფრებაში მოჰყავს. მუშაობის დამწყებთა რიცხვი ძალიან მცირეა. ყველა ესენი შეუკავშირებელი მუშებია.

გაფიცულები დიდი ყურადღებით ისმენენ ლექციებს მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. ბევრი გააქვთ აგრეთვე ბიბლიოთეკებიდან წიგნები. ასე რომ, გაფიცვის დროს სამჯერ მეტი წიგნი გაუტანიათ, ვინემ წინათ. პროვინციებში კი უფრო ემჩნევა მღელვარება და თავდაუჭერლობა. ბევრ ქალაქებში შეტაკება მოხდა შტრეიკბრეხერებს და გაფიცულებს შორის. აქაიქ პოლიციასაც ქვა დაუშინეს.

**სენსაციური ცნობა.** გაზეთ „ტაგს" ატყობინებენ, ვითომ იაპონიას ინგლისის თანხმობით, განზრახვა აქვს ამ დღეებში ჩინეთი თავის პროტექტორატს დაუმორჩილოს. ბერლინის გაზეთებს მოყავს ეს ცნობა და თავის მხრით შენიშნავენ, რომ რუსეთი ამ ჟამათ ისე დაუძლურებულია, რომ ვერავითარ პროტესტს ვერ გამოაცხადებს იაპონიის ასეთი მოქმედების წინააღმდეგო.

## პოლონელ დეპუტატების ბრძოლის მეთოდი გერმანიის რეიხსტაგში.

რეიხსტაგის წასულ საპარლამენტო სესიაში პოლონელმა დეპუტატებმა იუნკერ-აგრარიებთან (მსხვილი მემამულეებია) ბლოკი შეჰკრეს და მთავრობის მიერ წარმოდგენილი მემკვიდრეობითი გადასახადი მამულებზე უარჰყვეს. როგორც მოგეხსენებათ, მემკვიდრეობითი მამულებზე გადასახადი განსაკუთრებით დიდ მემამულეებს აწვებათ და შეუძლებელ და ღარიბ ხალხის მამულ-დედული კი, მილიონ ხრჭებიდან თავისუფლდება. რასაკვირველია პოლონელმა ნაციონალისტ-შოვინისტმა დეპუტატებმა არ მოისურვეს შეძლებულ თავად-აზნაურთა აუარებელ ქონების შევიწროება და როგორც ვსთქვით, მთავრობის კანონ-პროექტი, რომელიც მილიონობით შეღავათს აძლევდა შეუძლებელ სოფლის ხალხს, უკუ აგდეს. და რომ ეს უპატიებელი დანაშაული, პოლონელ ხალხის ნივთიერ ინტერესების ფეხ ქვეშ გათელვა პოლონელ ხალხისათვის დაეფარათ, პოლონურმა საპარლამენტო ბითრომ თავიანთ ნაციონალისტურ ჟურნალ-გაზეთებში ერთი ალიაქოთი ასტეხეს და გერმანიის სოციალ-დემოკრატებს რეიხსტაგში მოქმედება სასაცილოთ გახადეს. პოლონურ პრესის საშუალებით მათ დიდი ზიზღით აუწყეს ქვეყანას, რომ [illegible] ვრობის მიერ [illegible] სახადს მიემხრო, [illegible] დემოკრატებმა ხმა მისცეს ისეთ გადასახადის შემოღებას, რომელიც სახელმწიფო კანცლერმა, თ. ბიულოვმა მოინდომა, სოციალ-დემოკრატები ხელი-ხელ ჩაკიდებულები წავიდენ ნაციონალ-ლიბე-

---

# საპყრობილეში

**საერთო კამერაში.**

მაგრამ გამოგიცთია შენ რა არის იჭვი? იჭვიანობა გამოგიცთია? კბილის ტკივილი მაინც გამოგიცთია, ძლიერი კბილის ტკივილი, როცა თვალებიდან უნებურათ მოგდის ცრემლები, როცა ცხვირ-პირში ხელს იცემ, როცა რაც შეგიძლია სცემ თავს კედელს, როცა გიჟივით წამოვარდები ზედ და დარბი, დარბი ოთახში, როცა ვიღაცა ზის კბილ ქვეშ და სცემს ჩაქუჩს, პატარა კბილიდან სწვდება ტვინს და სცემს, სცემს იქ, ფეხის ფჩხილებიდან ეწიწება შენს ნერვებს, შენს ძარღვებს, გამოგიცთია ეს? ჰო და გეტყვი მე შენ, ეს არაფერია, ეს ხუმრობაა იმასთან შედარებით, როცა უცებ აგიდგება თვალწინ, რომ ის, ვინც შენ გიყვარს, ის სხვას ეხვევა კისერში, სხვა უკოცნის ტუჩებს... დიახ ასე დაგიდგება თვალწინ; შორი-ახლო დგანან ის, შენი სატრფო და მეორე ადამიანი. ერთმანეთს თვალებში უცქერიან, უღიმიან, შემდეგ უცებ შლიან ხელებს, შენი საყვარელი ადამიანი ხვევს მას კისერში ორივე ხელებს და შიგ ტუჩში კოცნის, თვალებში კი უცქერის,—სწორეთ ასე მიდგება თვალწინ. ეს ჯოჯოხეთია, ეს წარმოუდგენელი ტანჯვაა და ეს არის იჭვი. იჭვი... იჭვი, გაუთავებელი შური, გაუთავებელი სიყვარული, ერთმანეთში დომხალივით არეული, მკვლელობის სურვილი, უზენაეს ალერსით გარემოცვა საყვარელი არსებისა, ყველა ეს ერთათ წარმოადგენს იჭვს, ყველა ეს ერთათ არის იჭვი. და ვინ იცის, რომელია მეტი მასში, სიძულვილი, სიყვარული, შური, სისხლის წყურვილი თუ საყვარელ საგნის წინაშე მუხლებ მოყრილი დგომა და ტირილი, ტირილი... ეს ჯოჯოხეთია და ეს მე გამოვცადე რამდენიმეჯერ აი აქ, ამ კამერაში, ღამით... გიამბობ ეხლა ამას, მაგრამ ოდნავათაც არ ვწუხვარ, მაშინ კი... მაშინ კი...

ადამიანი მხეცის ნათესავია, მაგრამ საიდან დაყვა მას თან იჭვი? საიდან დაყვა მას ეს საშიშროება?..

ამ ერთი წლის წინეთ აქ ერთი კატორღელი იჯდა, უბრალო მკვლელი, ყაჩაღი. დღითი დღე ჰკნებოდა ის უბედური და დაბოლოს ჰკუაზე შეცდა კიდეც: ერთ დღეს, როცა მისი ცოლი მოვიდა მის სანახავათ, როცა ის ანახეს მას პირისპირ ის დაეტაკა მას კისერში, უწყალოთ, წარმოუდგენელი ლანძღვით დაუწყო ხრჩობა და ძლივს გამოართვეს ხელიდან. შემდეგ აუტყდა ტირილი, რომელიც გაათავა სიცილით, ხოლო საღამოს უკვე იძულებული იყვენ იმისთვის გიჟის პერანგი ჩაეცვათ... აი ის გამოტყდა ჩემ წინაშე ერთხელ, მან მითხრა, რომ ღამე ისე არ გაივლის, ჩემი ცოლი რომ სხვის გვერდში მწოლარე არ დავინახოვო, ათასნაირი ბინძურ, პირუტყვულ მდგომარეობაში ხედავდა სიზმარში ის თავის ცოლს, რომელიც გიჟივით უყვარდა. და ეს მაშინ, როცა ის დარწმუნებული იყო, რომ მისი ცოლი პატიოსანი ქალია და არაოდეს, არაფერი ამის მზგავსი არ ჩაუდენია... ჩვილ ბავშვივით ტიროდა ეს გულ-ქვა ადამიანი, მაგრამ არ იყო წამალი მისი სატკივარის... მართალი გითხრა, რამდენიმეჯერ კიდევ რომ მეგრძნო ის, რასაც იჭვს ეძახიან, მართალი გითხრა, ან დავიხრჩობდი თავს, ან გავგიჟდებოდი. ის კი არ არის ცუდი, ის არაფერია, რომ ხედავ მაგალითათ როგორ კოცნის შენ სატრფოს სხვა, აი ეხლაც ამაზე ვლაპარაკობ, მაგრამ არაფერიც არ მიჭირს, საშინელი ის არის ამ სურათში, რომელიც ხანდახან ეწვევა ხოლმე გულს და რომლის აწერა არ შეიძლება. შექსპირს განა უჭირდა გრძნობათა გამოხატვა სიტყვებში? და აი იმანაც იჭვს უწოდა „მწვანე თვალებიანი საშიშროება". რა არის ეს? აბა გაიგე რას ნიშნავს „მწვანე თვალებიანი საშიშროება"? რატომ მწვანე და არა ყვითელი? მე მგონია თუ იჭვს ცხოველათ დახატავ, მას თვალები ყვითელი ეკუთვნის და არა მწვანე, ვინაიდან ერთი მხრით ის სიგიჟეც არის...

შენ გინდა აგიწერო თუ რას ვფიქრობდი სიკვდილის მოლოდინში? ბევრს მგონი არაფერს... ვიჯექი ჩვეულებრივ, მხოლოთ ხანდახან გამახსენდებოდა რომ ერთ დილას მოვა დედა-ჩემი, მკითხავს მე და მას ეტყვიან ჩვეულებრივათ, როგორც ყველა დასჯილების ნათესავებს: წუხელის პოლიციელებმა წაიყვანეს სადღაც ღამით და უკან აღარ მოუყვანიათ, იკითხეთ პოლიციაშიო. ეტყვიან ამას მოხუც დედაჩემს, ის ერთ წუთას თითქოს ვერაფერს გაიგებს, შებრუნდება და წავა უკან, მუხლები ეკვეცება მას, თვალებზე ბნელი ზეწარი ეფარება, მიაწევს აი იქ, ციხეს გადაღმა ქუჩის კუთხეში და უცებ ნათლათ წარმოადგენს ყოველივეს. ჩაჯდება იქ და აქვითინდება... აი ეს სცენა დამიდგებოდა ხოლმე ხშირათ თვალწინ, სწორეთ ასე და არა სხვა რაგათ... ამას გარდა საკვირველი იყო ის, რომ არაჩვეულებრივათ გამეხსნა მადა, საჭმელი არ მყოფნიდა.

გამახსენდებოდა ხანდახან სონაც, უცებ გული დამეკუმშებოდა, მაგრამ გადავისვამდი შუბლზე ხელს, გავანძრევდი თავს და ყველაფერი ისევ მავიწყდებოდა, პირველათ ძალიან დამაფიქრა ერთმა ახირებულმა გარემოებამ. ჩემ გულიდან სადღაც გაქრა, დაიკარგა სიძულილი. არავინ, არავინ თითქოს ამ ქვეყანათ არ მძულდა, ყველანი მიყვარდა. და თან მიკვირდა, რომ ოდესმე ვგრძნობდი გულში სიძულვილს... ერთ დილას მე უცებ გადავწყვიტე როცა სახრჩობელაზე შევდგები, სანამ ბაწარში თავს გავყოფდე, შიგ ტუჩებში ვაკოცებ ჯალათს მეთქი.

— მშვიდობით ჩემო ძვირფასო ძმაო, გადაეცი ქვეყანას, რომ სიკვდილის წინაშე მდგომი მე მას უგზავნი სალამს და სიყვარულით ვემშვიდობები მას, მისი ულირსი ძმა. მშვიდობით ჩემო ძვირფასო ძმაო!

აი ამას ვეტყოდი ჯალათს, ერთხელ კიდევ ვაკოცებდი და ბაწრის მუხრუკში თავს გავუყრიდი. ასე მოვიქცეოდი მეგონა სიკვდილის წინ.

ეხლა მე ვიცი, რომ ეს ოდნავათაც არ ნიშნავდა იმას, თითქოს მე არავინ მძულდა ქვეყანაზე, ეხლა მე ვიცი, რომ იყო სწორეთ სიძულვილი, ნამდვილი სიძულვილი, რომ სიძულვილი გადამაკოცნიებდა მე ჯალათს, სიძულვილი დამაბრმავებდა. ნუ გიკვირს—ათას სიკვდილში დასასჯელში ცხრაას ოთხმოცდა ცხრამეტი აუცილებლათ შერყეულია ჭკუიდან, მათ რიცხვში მეც, ალბათ, არა ნორმალურ მდგომარეობაში ვიყავი ან და ასეც უნდა ვიფიქროთ—მე შემაყენეს კვარცხლბეკზე, ეს ეს არის გადამაცვამენ კისერში მუხრუჯს მე დავეკიდები ჰაერში. ის კი, გამომშვიდობება ჯალათის, მისი გადაკოცნა ამ წუთს ცოტათი აგძელებს, სიცოცხლეს მიგძელებს... შეიძლება ჩემდა უნებურათ, ჩემდა შეუგნებლათ, ინსტიქტურათ მე ამ მოსაზრებამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ უკანასკნელათ, სიკვდილის წინაშე გადავკოცნი ჯალათს... მე არ ვიცი რამ მიმიყვანა აქნამდე, მაშინ მეგონა მხოლოთ, რომ არავინ არ მძულდა, ხოლო ეხლა ვიცი, რომ ის, რაც მაშინ სიყვარული მეგონა, ის იყო მძლავრი, ღრმა და სასტიკი სიძულვილი.

— რისთვის გადაგიწყვიტეს შენ სიკვდილი? ვეკითხები უცებ მე მას და მიკვირს, რომ ეს კითხვა აქნამდის არ მიმიცია მისთვის.

— როცა დასაჭერათ გამომედევნენ, ჯაშუშს რევოლვერი ვესროლე. მაშინ მინდოდა მომეკლა და თავისთვის მეშველა. დავკოდე მხოლოდ, არ მოკვდა, და ათასი მადლობა უფალს... დიახ, ათასი მადლი უფალს,— მე იმ ტომისგან როდი ვარ შექმნილი, რომლისაგან მკვლელები ცხვებიან... მე მხოლოთ კეთილი ადამიანი ვარ და მეტი არაფერი, რაშიც დავრწმუნდი მხოლოდ აქ, იმ პანსიონში.

— პოლიტიკურ პარტიას, რომელიმეს ეკუთვნი?

— იმ თავიდანვე ვმუშაობდი სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში და კარგი მუშაც ვიყავი... ეხლა კი.—ეხლა მე კეთილი ადამიანი ვარ, მხოლოთ კეთილი. არა, ღმერთმანი არ ვხუმრობ, რომ ეხლა უცებ გამათავისუფლონ ტყეში დავიმალები, ულრან ტყეში, სადაც ადამიანის ხმას ვერაოდეს ვერ გავიგებ, უზარმაზარი მუხის ქვეშ მოვღობავ ქოხს და დავმუნჯდები. მხოლოთ ყურს დავუგდებ ტყის დუძილს, ან იმის ქართან მუსაიფს, ან იმის ქარიშხალთან ბრძოლას და ხან და ხან ღამით შევხედავ ზეცას, შევხედავ უთვალავ ვარსკვლავებს მაზე და გაულიმებ... იმ, სულო რა კარგია, როცა გულღმა წევხარ და იცი რომ არავინ, არავინ არ გიცქერის, რა კარგია როცა იცი, რომ არავინ არ გათვალიერებს, რა კარგია, როცა იცი, რომ თავისუფალი ხარ, თავისუფალი, თავისუფალი... მე არ შემიძლია ეხლა დაკეტილ კარებში ცხოვრება—სატუსაღოში მეგონა ჩემი თავი... ტყეში, ღმერთმანი, ტყეში წავალ... ყველაზე უფრო ეს მომინდა მე, როცა სიკვდილით დასასჯელი კარცერში დამამწყვდიეს.

— კარცერში? როგორ თუ კარცერში?

— როგორ და, ჩვეულებრივ კარცერში. აბანოში არ წამიყვანეს—გაიქცევი—გვეშინიაო. არც სასეირნოთ გამიყვანეს. გავჯავრდი და დავიწყე ლანძღვა, რის გამო დამაჯინეს კარცერში, მაგრამ რადგანაც ეშინოდათ თავს არაფერი უყოსო, ამიტომ ვებერთელა „ლამპა" დაკიდეს ჭერზე და სათვალური გაალეს. დღით და ღამით იდგა მცველი კარებთან და მაძვრეტდა, ვერსად ვერ დავემალე იმის

ებთან (კაპიტალისტთა პარტია), ბი-
პარტიასთან. სოციალ-დემოკრატია
როპის პარტიათ გადაიქცა და მასთან
ლ შეთანხმებულათ მოქმედებსო.
ენ არ გვინდა იძახიან ისინი, არც
ახალი გადასახადი, ვინაიდან ხალ-
დარიბ ნაწილს ისეც შევიწროებული
გვარ უზომო გადასახადებით, ისეც
რვებული ცხოვრებაში იმყოფება ხალ-
პროლეტარული კლასი. ჩვენ ვერ
ერიგდებით გერმანიის სოციალ-დე-
რატების საპარლამენტო მოქმედებას,
ვერ-ბებელის პოლიტიკას, რომელიც
ობ მიწასთან ასწორებს პოლონელ
ხის ეკონომიურ და პოლიტიკურ ინ-
ესსო. სხვა ბევრი ასეთი ლათაიებით
მას? ნძლდა რეიხსტაგის პოლონური
ქცია პოლონელ ხალხს, ასეთი ცრუ
ყალბი ცნობები მიაწოდეს მას.
გასაკვირვალი და გასაოცებელი არა
რა; ბურჟუაზიას ჩვეულებათ აქვს
ოინები იხმაროს, ასეთი ხერხით
მედოს; დემოგია და ხალხთან ხალ-
წარმომადგენლების დაბეზღება, ცი-
წამება, საუკეთესო ბრძოლის იარა-
მათთვის. განსაკუთრებით იქ, სად
სოციალდემოკრატიული პარტი
ლიერებულია, სადაც მუშათა კლას
განიზაციულათ შეკავშირებულია, იგ
ილობს ერთგვარი გავლენა მოიპ
მასზე და თავის სასარგებლოთ გამო
ის მისი სოციალური და პოლიტიკ
ძალა.
პოლონელმა კაპიტალისტებმა და მ
ისტაგის დეპუტატებმა ჩვეულებრ
ამ იწყეს ხალხის ამხედრება სოცია-
მოკრატების წინაამდეგ, ხალხის ხა-
წაქეზება. მაგრამ ამაოდ. პოლონე-
ს მუშათა კლასმა კაი ხანია, რაც კა-
ტალისტთა აპეკობას თავი დაახსნა,
მორჩილებას მხარი აუქცია. ით
ვალი გაახილეს და მთელი თავისი ს-
არ-სიმართლით დაინახეს პოლონელ
ურჟუაზიულ კლასების და მათ წარმო-
დგენლობას ფსევდო-დემოკრატიული
ცრუ დემოკრატიული) გულშემატკივ-
რობა, პოლონელმა მუშათა კლასმა რა-
გვირველია, კარგათ იცის, რომ ზოლ-
და [illegible] სუპერ [illegible]
კანტორა ღებულობს:
საკომისიოთ წიგნებს და [illegible]
[illegible]
ც ძალიან სერიოზულათ ექცევიან
მთელ თავიანთ ძალ-ღონეს მის დე-
კრატიულათ განაწილებას ანდობენ.
რმანიის და პოლონელ სოციალ-დემო-

კრატების წარმომადგენლები ერთ სა-
ერთო—კლასთა ბრძოლის მიზნით არიან
გასჭვალული. ერთიც და მეორეც მუ-
შათა კლასის ინტერესებს ემსახურება და
გრობენ და უარყოფენ გერმანიის და პო-
ლონეთის კაპიტალისტთა აგრარიების სი-
ხარბეს. ფაქტია, რომ გერმანიის და პო-
ლონელ სოციალ-დემოკრატებმა, რეიხ-
სტაგში მხარი დაუჭირეს და ხმა მისცეს
კანცლერ თ. ბიულოვის მიერ წამოყე-
ნებულ გადასახადს მემკვიდრეობაზე. ამ
ფაქტს იგი არ უარყოფს და არც უკან
ჰიიღებს, მაშინ, როცა რეიხსტაგის პო-
ლონელ დეპუტატთა ფრაქციამ ერთხმათ
მიიღო ყველა არა პირდაპირი გადასახა-
დები და სრულიად უარყვეს მემკვიდრე-
ობაზე გადასახადები და მით ხაზი გაუ-
სვეს საფინანსო რეფორმას, სოციალ-
დემოკრატების დეპუტატებმა ენერგიუ-
ლათ დაგმეს მთელი არაპირდაპირი გადა-
სახადები და მოითხოვეს მემკვიდრეობაზე
გადასახადის დაწესება. გერმანიის მუშათა
კლასი პოლონელ მუშებთან ერთათ ცდი-
ლობს, რომ მთელი სახელმწიფო გასავა-
ლი მემკვიდრეობითი და ასეთ გადასახა-
დებით დაიფაროს. მუშათა კლასი და
საერთოთ გაჭირებული ხალხი არას წაა-
გებდა თუ გერმანიის და პოლონეთის
დიდი მამულების მემკვიდრენი, რო-
მლებსაც მემკვიდრეობის ძალით მი-
ლიონების ღირებული მამულები უვა-
რდებათ ხელში, მემკვიდრეობის გა-
დასახადის სახით, სახელმწიფოს სა-
სარგებლოთ მილიონებს გადაახდევი-
ნებდა, და მათ შეუსუმბუქებდენ მათ
უზომო გადასახადებს. სოციალდემოკრა-
ტების დეპუტატებმა კარგათ იცოდენ,
რომ მემკვიდრეობითი გადასახადი მხო-
ლოდ დიდ მემამულე თავად-აზნაურობის
კისერზე დააწვეოდა და ამისათვის მათაც
მხარი დაუჭირეს მას. ასე რომ, გერმა-
ნიის სოციალდემოკრატ დეპუტატების
საქციელი დასაგმობი და გასაკიცხი კი
არ არის, არამედ მოსაწონი და წასაქე
ზებელი. და თუ პოლონელ ბურჟუა-
ზიულ დეპუტატებს და მათ ამყოლ-ჩამ-
ყოლ პრესას სოციალდემოკრატების ასე-
თი პოლიტიკა ხალხის დამღუპველ პო-
ლიტიკათ მიაჩნია, ეს მათი განძრახ ჩა-
დენილი დემაგოგიაა და სხვა არაფერი.
მაგრამ მათ დემაგოგიას დიდი ხანია მუხ-
ლი მოეკვრა, გასავალი აღარ აქვს. პო-
ლონელმა ხალხმა ეს კარგათ გაიგო და
თავის მუშათა ორგანოს „გაზეთა რა-
ბოტნიცის“ საშუალებით საქვეყნოთ დაჰ-
გმო. რამდენიმე წლის წინეთ ეს გაზე-
თი, გერმანიის პარტიის დახმარებით იცე-
მოდა, სულ 800—900 ხელის მომწერი
ყავდა, ახლა იგი პოპულიარული და
გავრცელებული გაზეთია, რომელსაც
რამდენიმე ათასობით პარტიული მუშე-
ბი კითხულობენ. მან აღიმაღლა თავისი
გავლენიანი ხმა და ფრთები შეაკვეცა
პოლონელ დეპუტატების დემაგოგიურ
აგიტაციას და მათ მიერ გერმანელ სო-
ციალდემოკრატების უთავბოლო ლან-
ძღვას ფარდა ახადა და მათი კომპანიის
ნამდვილი მოტივი გამოააშკარავა...

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის** 50 წლისათვის აღსანიშნავით კავკასიის ნამესტნიკმა უფლება მიანიჭა კავკასიის დროებით გენერალ-გუბერნატორებს, გუბერნატორებს, ოლქის უფროსებს და სხ. გაანთავისუფლონ სასჯელისაგან ის პირნი, რომელნიც მცირე დანაშაულობისათვის დაჯარიმებული ან დასჯილნი არიან. წინადადება მისცაა აგრეთვე ჯარის უფროსებს განთავისუფლონ დისციპლინარულ სასჯელისაგან აფიცრები და ჯარის კაცები. იხელმძღვანელა რა ხსენებული წინადადებით თფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორმა განკარგულება გასცა: 1) ეპატიოს სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დადებული ჯარიმა 25 მანეთამდე, რომელიც 25 აგვისტომდე არ გადაუხდიათ; 2) ეპატიოს იმავე დადგენილების დარღვევისათვის სასჯელი (დაპატიმრება) რომელთაც 2 კვირით აქვთ მისჯილი; 3) 25 აგვისტოს დილით განთავისუფლებულ იქნან ციხიდან ის პირნი, რომელთაც სასჯელის მოხდას 2 კვირა ან ნაკლები უკლიათ. დანარჩენ დაპატიმრებულთ შეუმცირდეთ სასჯელი 2 კვირით. ასეთივე დადგენილება გამოსცა თფილისის გუბერნატორმა, რომლითაც: 1) 25 აგვისტოს დილით განთავისუფლებულ იქნა ყველა ის პირნი, ვისაც სხვა-და სხვა სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის მისჯილი ჰქონდა 3 დღით დაპატიმრება; 2) ეპატიება იმავე დადგენილებათა დარღვევისათვის ჯარიმა 15 მანეთამდე და ჯარიმის გადაუხდელობის გამო დაპატიმრება.

✦ **თათბირი ერობის შესახებ**. დღეს, საღამოს 8 საათზე თვითმმართველობის შენობაში მოხდება მესამე სექციის კრება.

✦ **საქართველოს საექსარხოსო**. საკითხი საქართველოს საექსარხოსოს შესახებ, როგორც „გოლოს მოსკ.“ იტყობინება, ჯერ არ გადაწყვეტილა. მას განიხილავენ მიმდინარე წლის ბოლოს. სანამ საკითხი გადაწყდებოდეს, უწ. სინოდმა მოითხოვა აცნობოს მას კავკასიის ნამესტნიკმა აზრი ხსენებულ საკითხის შესახებ. თითქმის ერთი წელია, რაც შეკითხვა მოახდინეს ამის შესახებ, მარა კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოს დღემდე არ გამოუთქვამს თავისი აზრი და, როგორც ამბობენ, არც ადრე გამოთქვამს თავის აზრს საკითხის სირთულის გამო. საკითხი საქართველოს ექსარხოსოს დანიშვნის შესახებ სრულიად მოხსნა უწმ. სინოდმა.

✦ **ექსარხოსის მოადგილემ**, ეპისკოპოსმა გრიგოლიმ, თანახმათ თფილისის პატრიოტულ საზოგადოების თხოვნისა შუამდგომლობა აღძრა სინოდის წინაშე ექსარხოსის ნიკონის სახელის საუკუნოთ სახსენებლათ. სინოდმა ამის შესახებ ბრძანება მისცა სრულიად საქართველოს სასინოდო კანტორას, რათა ყოველ შაბათობით წირვა-პანაშვიდი იქნას გადახდილი ექსარხოსის ეკლესიაში. ამას გარდა, ყოველ წელს, 28 მაისს საექსარხოსოს ყველა ეკლესიებში უნდა გადახდილ იქნას წირვა-პანაშვიდი.

✦ **მასალები სახ. დუმაში წარსადგენათ**. როგორც ყვირილიდან გვატყობინებენ ადგილობრივი ბოქაულის მოქმედების შესახებ, რომელსაც ბევრი სხვა, და სხვა უკანონო მოქმედებანი ბრალდება ყვირილის ინტელიგენციას განუზრახავს შეაგროვოს დასაბუთებული მასალები და გაუგზავნოს დეპ. კ. ჩხეიძეს. ამასთანავე ამბობენ, რომ ამ საქმის შესახებ ყვირილაში საგანგებო გამომძიებელიც გაიგზავნა კავკასიის უმაღლეს მთავრობისაგანო.

✦ **თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა** საგანგებო კრება მოხდება 15 სექტემბერს, სადაც აირჩევენ ორ ამომრჩეველს, რომლებიც მომავალ შემოდგომაზე პეტერბურგში მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში.

✦ **გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების საბჭო** ფოთიდან გადატანილ იქნა ახალ-სენაკში.

✦ **შუამდგომლობა**. ზაქათალის ოლქის ბელოკანის საზოგადოების მცხოვრებთ განაჩენი დაუდგენიათ, რათა ადგილობრივ მამასახლისს უფლება მიენიჭოს სოფლის ქურდების გაროზგვისა. როგორც „კავ.“ გადმოგვცემს, ზაქათალის ოლქის უფროსს საზოგადოების ასეთი განაჩენი უკანონოთ უცვნია და კავკასიის უმაღლესი მთავრობის წინაშე შუამდგომლობს მის გაუქმებას.

✦ **აკადემიკოსი ნ. მარრი** ამ დღეებში ანიდან თფილისში დაბრუნდა, ის ოსმალეთში გაემგზავრება.

✦ **თფილისის სასულიერო სემინარიას** ვერაზე აკურთხებენ 1 სექტემბერს.

✦ **განთავისუფლება**. 24 აგვისტოს გაჩხრეკის შემდეგ დაპატიმრებული სომხეთა ნერსესიან სემინარიის მასწავლებელი არ. აბელიანი გაანთავისუფლეს.

✦ **სომეხთა ნერსესიან სემინარიაში** ადგილის უქონლობის გამო წელს მოსწავლეები არც ერთ კლასში არ მიიღებიან გარდა მე-7 კლასისა.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის განყოფილება**. ამ ახლო ხანში სიღნაღის მაზრის ს. გურჯაანში გაიხსნება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ: ა. ბოგდანოვის „**მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერების**“-სა, რომელიც ამ ჟამათ იბეჭდება ხელის-მომწერთ 15 ოქტომბერს დაურიგდება. ამ წიგნის შესახებ აგენტებმა და ხელის-მომწერლებმა ამიერიდან წერილობით თუ სიტყვიერად უნდა მიმართონ კიროჩნი ქუჩ. № 9 წიგნის მაღაზია „ალიონი“-ს გამგე გ. გადილას.

✦ **ყოფილ დეპუტატების სასარგებლოთ** მივიღეთ მიხაილოვის კონდუქტორებს


ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ.

ვისაც სურს რომ სექტემბრიდან გაზ. „მოგზაური“ ეგზავნებოდეს, ხვედრი ფულის შემოტანა უნდა დააჩქაროს.

„მოგზაურის“ კანტორა.


ლებს, ვერსად... აი მაშინ ვიტრე
ელაზე უფრო ტყეში ყოფნა, დამი-
ნიდან შორს, შორს... აქ, ა სა-
ესადოში თუ გინდ ერთი წელი და-
ვი სიკვდილის მოლოდინში არც გა-
ერნებენ, არც აბანოში წაგიყვანებენ,
ს შეგჭამთ სიბინძურე, ისე ამყრალდე-
ი ოფლით, რომ მუხლ მოდრეკილი შეე-
ედრები მათ—ჩქარა გაათავეთ, არემ
ამახჩვეთო.
დამამდება თუ არა, არაფერზე არ ფიქ-
ობ, მხოლოდ გრძნობ რაღაც იმის მა-
ვარს, როცა მაგალითად ჭუჭყიანი პე-
ანგი გაცვია და გაოფლებული ხარ,
ერანგი თითქოს გქვენს ტანზე კი არა,
რამედ სულში. აი ასეთ მდგომარეობა-
ი იმყოფებით ღამით და თან ელი, რომ
ს ეს არის გაიღება კარი და წაგიყვანე-
ენ... ამასობაში, სადღაც კორიდორში
ედლის საათი მოწყენილათ და გლ-
რილათ რეკს ორ საათს. გათავდა. მე-
რამ არავინ შეგაწუხებს. ხვალ ამ დრომ-
ე ვცოცხლობ და უცებ შემსუბუქებუ-
ი, მხიარული ეცემი ტახტზე და მკვა-
რივით გძინება, ეს მთელი საუკუნეა მ
ინ, სანამ მოკვდებოდე—ხუმრობა უ
ი გგონია, სიკვდილით დასასჯელისთვის
ორი საათი ორ წელს უდრის, თუ მეს
რა... აქედან ხედავ, რომ მე არ მინდ-
ა სიკვდილი, მე მისი მეშინოდა, თუმც
ერც მე ვგრძნობდი, ამას. ეს ცხადი,
დევ იქიდან, რომ როცა გამიცხადე,
ო ლაგახჩობენო მე ოთახში დაბრუნ,
ულს ამიტყდა კანკალი, გამაცივა დ
მდეგ ისეთ სიცხეში ჩამაგდო, რომ მთ
ი დღე ღამე ვბოდავდი და ოფლში
ცურავდი. როცა პირველათ სახერჩობ
ამიყვანეს, აი ასე ხელ-ფეხ შებორკ
ი, მე მეტის მეტ მხიარულ გუნებაზ
ყავი. მართლა, იყო კიდევ ერთი რამ,
რომელიც მე ყველაზე უფრო მაწუხებდ
ა მაზიზღებდა სახრჩობელას. ეს ის
რომ ოთახიდან გამომიყვანდა ბედუნ
ხის უფროსის თანაშემწე. აი ის, რომ

სწორეთ ბედუნი შემოუძლვებოდა ზედამხედველებს, მისი ძროხის მზგავსი, პრტყელი და უაზრო თვალებით, მსუქანი პირისახით, ცოტათი მოზრდილი მუცლით, მთელი მისი მიხვრა-მოხვრით, რომელიც, არ ვიცი რათ, მაგრამ ყველაზე უფრო ამჟღავნებს იმაში პირუტყვს, ადამიანს, რომელსაც ერთხელ რა არის, ერთხელ არ გაღვიძებია სინიდისი და რომელშიც არაოდეს ის არ გაიღვიძებს, აი ეს გარემოება ყველაზე უფრო მაზიზღებდა სახრჩობელას, მაგრამ ეს ვიგრძენი ერთჯერ, ან ორჯერ, მეტი არა. ყველაზე მეტი ალაგი სიკვდილით დასასჯელის სულიერ მდგომარეობაში უჭირავს მოგონებას. გძინავს თუ გღვიძავს, დადიხარ თუ ზიხარ, ერთი სიტყვით, ყოველთვის შენ წასული ხარ მოგონებებში, ხოლო ყველა მოგონება კი სასიამოვნოა და მიმტაცი. მხოლოდ ხანდახან ელვის სისწრაფით გაგირბენს ხოლმე თავში, რომ აი ის კაცი, რომელმაც აი ეს გამოსცადა და აი ეს, რომელიც აი ასეთ მდგომარეობაში იყო ამა და ამ დროს, რომელიც ასე ოხუნჯობდა, ასე იბძოდა, ასე იცინოდა, ასე ფიქრობდა და აზროვნობდა, აი ეს კაცი უნდა დაახჩონ ამაღამ, ან ხვალ ე. ი. უნდა წაუჭირონ კისერში ბაწარი, დაკიდონ ორ ბოძ შუა გადებულ დვირეზე, მივიდეს უნდა მასთან ჯალათი, დაეკიდოს უნდა ფეხებზე და მთელი თავისი ძალითა და სიმძიმით დასწიოს ის ძირს, რომ ადრე, ჩქარა გაუწყვიტოს ხერხემლის ძვალი, ჩქარა დაკარგოს გრძნობა და დაიხვრჩეს. და ეს კაცი ვარ მე. გაირბენს ეს გონებაში და ისევ იკარგება სადღაც, მე ისევ ფიქრებში, მოგონებებში ვცურავ, ხოლო რაც უნდა უშინაარსო იყოს ის, რაც უნდა უმნიშვნელო, აქ, ამ ალაგას ყველა მრავალმნიშვნელოვანია, ღრმა შინაარსიანი და ძვირფასი...

დაფიქრდი კარგათ, კარგათ წარმოიდგინე ასეთი სცენა: სახრჩობელა, გარშემო ხალხი, სახრჩობელას შორი-ახლო, თავ-დაღუნული, მიწაზე მაცქერალი დამნაშავე, ხელებ უკან გაკრული, გულღია, საღამურ, ნაცრის ფერ ტილოს საცვლელში, ფეხ-ტიტველა, გაფითრებული. მღვდელი ჯვარით ხელში და გულზე ოლარით, ექიმი... ჯალათი, რომელიც ბაწართან ხლაფორთობს რაღაცას, მუხრუჭს სკვნის, ან რაიმე მაგვარს. შემდეგ ბაწარზე კისრით ჩამოკიდული ადამიანი, თვალებ და ენა გადმოგდებული, მის ფეხებზე ბაყაყივით შემოხვეული ჩამოკიდებული ჯალათი, იქავე ექიმი გადაშლილი ოქროს საათით ხელში, რომ ოცი წუთის შემდეგ მივიდეს დასჯილთან, გაუშინჯოს გული და მაჯა და თქვას: ჩამოიღეთ, გათავებულია. ამ სურათთან ერთათ წარმოიდგინე მიძინებული ქალაქი, დაკეტილი კარები, თეთრ ფარდულებიანი, ღია ფანჯრები სადაც ქარი ათამაშებს ფარდას, სუფთა ქვეშაგებში გულ-აღმა მწოლარე ადამიანები, ან საყვარელ არსებების გვერდში, ან საყვარელ ფიქრებში გართულნი, ან ტკბილ სიზრმებში მყოფნი, ან უდარდელათ მძინარენი, თავისუფლათ იქით-აქეთ გადაგდებული ხელებით, ნორმალური მაჯის ცემით, სასთუმალს, ჩამქრალ სანთელს ქვეშ გადაშლილი წიგნით. სძინავს მათ, ან არ სძინავთ, მხოლოდ ერთი ცხადია, რომ მათ არ იციან, ან არ უნდათ იცოდენ, რომ სწორეთ ამ დროს, ერთი ვერსტის მანძილზე, იმათგან სატუსაღო გარემოცულია ინგუშებით, სატუსაღოს ეზო აგრეთვე სავსეა იმავე ინგუშებით, სახრჩობელასთან დგანან პროკურორი, პოლიცმეისტერი, ციხის უფროსი, დამნაშავე, ჯალათი, სატუსაღო ადამიანს კიდებენ ბაწარზე და ახრჩობენ. დაფიქრდი კარგათ, შეიძლება როცა დამნაშავეს, უკვე ბაწარზე დაკიდულს, რომელსაც ეს-ეს არის ფეხებ ქვეშ გამოაცალეს სკამი და რომელსაც ჯალათი კიდებს ფეხებში ხელს, რათა დასწიოს ძირს, ეგების ამ დროს იქ ქალაქში, რომელიმე ოთახში ერთსანეთს გადახვეულნი ადამიანები კოცნიან ერთმანეთს ტუჩებში. ეს ჩვეულებრივია, არაფერი აქ გასაკვირველი არ არის, მაგრამ აბა დაიყენე თვალწინ ეს ორი სურათი ერთ და იმავე დროს. ან და რომელიმე ამათგანი, რომლებიც სახრჩობელასთან არიან ეხლა, ვთქვათ პროკურორი, მღვდელი, ექიმი, პოლიცმეისტერი, ან ციხის უფროსი, ბრუნდება ღამით უკან, მიდის საწოლ ოთახში, ხედავს თავის ცოლს ტკბილათ მძინარეს, გატიტვლებული, თეთრი გულმკერდით, საბან გაღაგდებულს, ვერ ითმენს, იხრება და ჰკოცნის მას ტუჩებში. ესეც ხომ ადვილი წარმოსადგენია. დაფიქრდი კარგათ, კარგათ დაფიქრდი ამაზე—შეიძლება თუ არა აქ, ასეთ ფიქრის დროს ადამიანი ჭკუიდან შეცდეს, ხომ ადვილათ შეიძლება?

და ამაზე დავფიქრდი მე მაშინ, როცა უკვე ვიცოდი, რომ აღარ დამახრჩობენ.

მე კიდევ ვიმეორებ, რომ სართოდ ბევრს არ ვფიქრობდი სიკვდილით სასჯელზე, მხოლოდ ყველაზე უფრო ხშირათ გამიელვებდა დედა ჩემის სურათი, როცა ის პირველათ გაიგებს, რომ დამსაჯეს, ხანდახან გამახსენდება სონა, ხანდახან ბედუინი თავისი შეურაცხმყოფელი, პირუტყვული გამომეტყველებით, საერთოთ კი, მოგონებებში ვიყავ წასული, საერთოთ თითქოს არ ვწუხდი ბევრს.

ჰო, მართლა ერთი კიდევ. მე, მომხასიათა ეკლესიაში წასვლა და წამიყვანეს კიდეც. ერთი ზედამხედველი დამიყენეს წინ, რევოლვერი ამოაცალეს ბუდიდან, ურევოლვეროთ გამიჩერეს. ეს იმიტომ, რომ უცებ არ დავეტაკო მას, რევოლვერი არ ამოვაცალო და არ გავიქცე, ან არ მოვკლა ვინმე, ან თავი არ მოვიკლა. და ეს მაშინ, როცა ხელები და ფეხები ბორკილებით მქონდა შეკრული. ერთი ზედამხედველიც დამიყენეს უკან, ხოლო თითო-თითო იქით, აქეთ, ესე იგი, ოთხი კაცი მიცავდა მე და ოთხივე გაფაციცებით ადევნებდა თვალს ყოველივე ჩემ მოძრაობას. და იქ, ეკლესიაში დგომის დროს ერთხელ კიდევ ღრმათ ვინატრე ტყეში წასვლა, ადამიანებიდან შორს, შორს, გულ-აღმა გაწოლა და თავისუფლათ სულის ამოთქმა. აქ, ყველა ესენი ვინც ჩემ გარშემო იდგა, ყველა ესენი მხარზე მაჯდა მეგონა, 22 ივლისი იყო, მარიამ მაგდალინას დღეობა, იმ მარიამის, რომლისაგან ქრისტემ განდევნა შვიდი ეშმაკი. სწირავდა ვიღაც ბებერი მღვდელი... არაოდეს მე ეს დღე არ დამავიწყდება. ამ დღეს პირველათ და უკანასკნელათ შემეხარბა მე მათი ბედი, ვისაც საიქაო სწამს. როცა მოვლენის დროს მღვდელმა თითქოს ალტაცებულათ, და ღრმა რწმენით დაიძახა ეკლესიაში: წმინდაო მოციქულთა სწორო მარიამ მაგდალინელო, ევედრე ღმერთს ჩვენთვის! და როცა ეს შევედრება გამოართვეს მას მგალობლებმა და გუგუნით, მხიარულათ გაიმეორეს ის, მე ტანში ჟრუანტელმა დამიარა და თვალებში ცრემლები მომადგა... მე ამ დღეებში, შეიძლება ამაღამ უნდა დამახჩონ, რომ მწამდეს..- შევევედრები ეხლა საიქაო მაინც მომეცეს კარგი, თუ აქ, ამ ქვეყნათ ვერაფერი გამოიმეტეს ჩემთვის... მომიყვანეს მღვდელთან, მაგრამ მივედი თუ არა, და გავიგონე თუ არა მისი ნუგეშის სიტყვა, მე უცებ გავბოროტდი და მივაძახე:

— Нечего морочить голову! და უკან გამოვბრუნდი, რის გამო ისევ კარცერში დამაჯინეს, სადაც ხუთი დღე გავატარე.

**ხმ. მცარიშვილი.**

(შემდეგი იქნება).

შორის შეგროვილი 8 მან. 50 კაპ. შემომწირველთა სია: ჯიბლაძე იგ. 50 კ., ბარამიძე თომა 50 კ., გაბრიჩიძე 50 კ., სა—ლი 30 კ., ვართანოვი 30 კ., ინასარიძე ალ. 25 კ., ბერიძე 25 კ, ცქიტიშვილი ალ. 25 კ., კაკაურიძე 20 კ., ჩუბინოვი 20 კ., ჯუღელი 20 კ., ჩუმაშვილი 20 კ, ჩიტაძე 20 კ., ფეცქალაძე სიკ. 20 კ., გომარელი 20 კ., ძიძიგური ბეს. 20 კ., ხახვაძე ილ. 20 კ. ხაჭაპურიძე 20 კ., ქურდაძე 20 კ., უთალიშვილი 20 კ., ორაგველიძე 20 კ., ზაზუნაშვილი 20 კ., კალანდაძე 20 კ., ლოლაძე გავრ. 20 კ., შალამბერიძე 20 კ., კახიანი 20 კ., გოცირიძე 20 კ., ბებურიშვილი 15 კ., ლოლაძე არჩილ 15 კ., ჩიკაშუა 15 კ., ჩახუნაშვილი 15 კ., ზანჩვიძე 15 კ., ჯანჯღავა 15 კ., კურტანიძე პავ. 15 კ., გელაშვილი 10 კ., გოზაძე 10 კ., კაკიაშვილი 10 კ., თევზაძე 10 კ., ჭიპაშვილი 10 კ., ქველაძე ბიჭ. 10 კ., ბუხრაძე 10 კ. და გელაშვილი 10 კ.

## პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი.**

სემინარიელის დაჭერა. ამას წინათ ქუთაისის ადმინისტრაციამ შეიპყრო თფილისის სემინარიის მოწაფე ანთაძე, რომელსაც ეგზარხის მოკვლაში მონაწილეობის მიღებას სწამებენ. ანთაძე ამ ჟამათ თფილისის სემინარიიდან გამორიცხულათ ითვლება.

მასწავლებლების გადაყვანა. სამასწავლებლო კომისიამ გ. ბურჯანაძის ადგილზე ქალაქის მეორე სკოლის ზედამხედველათ დანიშნა ამავე სკოლის მასწავლებელი ი. ცხადაძე. ცხადაძის ადგილზე კომისიამ მოიწვია მასწავლებლათ დ. მდივანი. გარდა ამისა, კომისიამ დაადგინა გადაყვანილ იქნენ: ა. დორთქიფანიძე საქალებო სასწავლებლიდან ქალაქის მეორე სკოლაში, დ. ნაცვლიშვილი მეორე სკოლიდან მესამე სკოლაში, მ. გიორგობიანის ქალი მესამე სკოლიდან ქალაქის საქალებო სკოლაში.

სასწავლებლებში. 20 აგვისტოდან თითქმის ყველა ადგილობრივ სასწავლებლებში დაიწყო მისაღებ-გადასაყვანი ეგზამენები.

ქურდობა. მღვდელს ნ. შვანგირაძეს დამე საწოლ ოთახში მოპარეს საათი, მკერდის ჯვარი და სხვა წვრიმალი ნივთები. შეიპყრეს ერთი მძარცველთაგანი.

შანტაჟი. მღვდ. ნ. ყუბანეიშვილს ამ ორი დღის წინათ შანტაჟისტებმა მუქარის წერილი გაუგზავნეს, რომლითაც წინადადებას აძლევდნენ მას გადაეხადა 200 მანეთი. წერილის მომტანისთვის ყუბანეიშვილს თანხმობა განუცხადებია და ვადა დაუნიშნავს, ამ დროს მოიგითხე ფულით· დანიშნულ ვადაზე შანტაჟისტი მართლა მისულა, მაგრამ ყუბანეიშვილის მაგიერ მას საიდუმლო პოლიციის აგენტები შეგებებიან. დაჭერილი შანტაჟისტი გამოტეხილა და დაუსახელებია ორი ამხანაგი.

მეაბრეშუმეთა კრება. კვირას, 23 აგვისტოს, ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში გაიხსნა კრება მეაბრეშუმეთა მეთესლეთა და პარკის მყიდველ-გამყიდველთა. კრებას ბ. ი. ქუთათელაძემ მოკლეთ გააცნო მეაბრეშუმეობის ისტორია ჩვენში ძველი დროიდან დაწყებული დღემდე. აღნიშნა მეაბრეშუმეობის აღორძინების და დაცემის ხანები და მათი მიზეზები.

შემდეგ კრება შეუდგა დღიურ წეს-რიგში დასმულ კითხვების განხილვას. ეს კითხვები დაბეჭდილი იყო გაზეთებში. პირველი კითხვის შესახებ, საჭიროა თუ არა დაარსებულ იქნას ახალი საკონტროლო სადგური შემოტანილი და ადგილობრივ აბრეშუმის თესლის თვისების გამოსარკვევათ, —კრებამ ერთხმათ დაადგინა: დაარსებულ იქნას ახალი საკონტროლო სადგური თფილისში. რეზოლიუციებს შემდეგ გაცნობებთ.

## კორესპონდენცია

**საჯავახოს მხარე** (იმერეთი) ათასგვარ გაჭირვებასთან ერთად აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა ბედშავი ხალხი ხანგრძლივმა გვალვამ და 13—14 აგვისტოს ძლიერმა ქარმა. გაძვალტყავებული მუშა ხალხი თვალცრემლიანი შეჰყურებს გადამხმარ ყანებს, ხეხილეულობა და ყურძენის მოსავალიც მთლად გაანადგურა ქარმა.

— 17 აგვისტოს აბაშის საზოგადოებაში ადგილობრივ ადმინისტრაციისაგან მოწვეულ იქნა საზოგადო ყრილობა, რომელსაც გამოუცხადეს, რომ გადაეხადა 27 მანეთი ამავე საზოგადოების წევრის, ბესარიონ გირგოლიას, გადასასახლებელ ხარჯისათვის. ხსენებულ გირგოლიას საზოგადოებამ კაი ხანია „პრიგოვორი" შეუდგინა სხვა და სხვა დანაშაულობისათვის და ეხლა მთავრობამ მოთხოვა საზოგადოებას 27 მანეთი გასაგზავნ ხარჯად. ადგილობრივმა მამასახლისმა მიხეილ მსხილაძემ წინადადება მისცა ხალხს, რომ „უეჭველად" გადაეხადათ ხსენებული ფული; თან დასძინა, რომ თუ ფულს არ გადაიხდით, მთავრობა გაანთავისუფლებს გირგოლიას, რომელსაც შეუძლია შემდეგში საზოგადოებას უწიოდოს ზარალი და რამოდენიმე ათასს მანეთს გადაგვახდევინებს მთავრობა გირგოლიას სასარგებლოთო. ასეთ წინადადებას, სამწუხაროდ, ზოგიერთმა „ვითომ და შეგნებულ" ადამიანებმა კვერი დაუკრეს, დაათვთხეს გლეხები. და ხსენებულ ფულის გადახდას ურჩევდენ. მიუხედავათ ამისა, შეკითხვის შემდეგ საზოგადოება მაინც ორ ნაწილად გაიყო. ერთი თანხმა იყო ფულის გადახდის და მეორე კი გაიძახოდა:—„ჩვენ შემწნეული კაცი „პრიგოვით" მთავრობას გადავეცით და მისი გაგზავნა მთავრობამ უნდა იკისროსო". ჩვენ სამართლიანათ მიგვაჩნია ეს უკანასკნელი წინადადება. ხალხს უამისოდაც ათასგვარი გადასახადები აწევს კისერზე და ეს ახალი გადასახადი ზედმეტ გადასახადათ მიიჩნია ზოგიერთებმა, უფრო შეგნებულმა ნაწილმა საზოგადოებისამ, მაგრამ შეუგნებელ ნაწილის უმრავლესობამ მამასახლისის ხელმძღვანელობით თავისი გაიტანა და დაადგინეს, რომ 27 მანეთი ფული გადაიხადოს გლეხებმა.

— ამავე დღეს ზოგიერთ საპატიო პირების საშუალებით სთხოვეს მამასახლისს, რომ მიეცათ ნება ხალხისთვის თხოვნა წარედგინათ გუბერნატორისათვის „სტრაჟნიკების პოსტის" მოხსნის შესახებ აბაშის საზოგადოებაში. ამაზედაც ადგილობრივმა მამასახლისმა უარი სთქვა. ხალხს. უთხრა, რომ ამის თხოვნის უფლება არა გაქვთო. ხალხს ეგონა, რომ „სამხედრო წესების მოხსნის შემდეგ" მთავრობა თვითონ გაიყვანდა საზოგადოებიდან სტრაჟნიკებს, მაგრამ მწარედ მოტყუებული დარჩენ. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი მამასახლისები ხალხის კანონიერ მოთხოვნილებებს „უკანონოდ" უყურებდენ და ამიტომაა, რომ ხალხს ენა ვერ ამოუღია ბევრ რამეზე.

**„შეკბენილი".**

—

**ს. მეტეხი** (გორის მაზრა) ამ თვის 15-ში აქ იდღესასწაულეს მარიამობა. დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. სადილს უკან ხალხი გამოვიდა სასეირნოთ ეკლესიის ახლოს. იქვე გაბრიელ მაღალაშვილის სახლია, რომლის ბალკონიდანაც ამ დროს მოისმა რევოლვერის ხმა, თურმე მამასახლისი ისროდა რევოლვერს ხალხისკენ ჰაერში, ამან ხალხში დიდი აღიაქოთი და მღელვარება გამოიწვია. ხალხში სხვათა შორის იყო ავთანდილ ცერი ალექსანდრე კიკვიძე, რომელმაც მაშინვე დაიბარა მამასახლისი და მოსთხოვა ახსნა, რისთვის ისროდა ის დამშვიდებულ ხალხში რევოლვერს. „იმის მაგივრათ, რომ შენ წესიერებას იცავდე" ხალხში შენ თითონ იწვევ მღელვარებას, რაც შეიძლება დიდი უბედურობით გათავდეს, მე ამას ეხლავე გუბერნატორს დეპეშით ვაცნობებო" დაემუქრა ბ. კიკვიძე მაგრამ მიუხედავათ ამისა მან მეორე დამეს სრულიათ უმიზეზოთ თავისავე სახლში დევორგელი ესროლა აქაურ, დიდათ პატივცემულ თავადს გიგო მაღალაშვილს, რომელსაც საბედნიეროთ ასცდა ტყვია. ამ საქმის გამო გამოძიება სწარმოებს და ვნახოთ, რა იქნება. აი ასეთ საქმეებს სჩადის მამასახლისი.

**ივ—კა.**

—

**ს. ხორგა** (ზუგდიდის მაზრა). ჩვენი სოფელი ყოველ მხრით ჩამორჩენილია ცხოვრებას. არავითარი კულტურული დაწესებულება არ გვაქვს. სხვაგან თუ სოფლის მასწავლებლები თავიანთ ძალ-ღონეს არ იშურებენ ხალხის გასანათლებლათ, ცდილობენ სკოლების, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების და სხვა ამ გვარ კულტურულ დაწესებულებების დაარსებას, აქაურ მასწავლებლებს მაგისთვის არ სცალიათ. მათი იდეალია ჯამაგირების მიღება და იღებენ კიდეც. მხოლოდ ხშირათ ხდება ისეთი მაგალითი, რომ აღებულ ჯამაგირით ჯერ ქეიფობენ და შემდეგ, რაც დარჩებათ, ბანქოში აგებენ. ასეთი მაგალითი ხშირია აქ.

ს. ხორგა შესდგება 1200 კომლისაგან, აქვთ ერთი ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და ერთი ერთ კლასიანი, რომელნიც მცხოვრებთა მოთხოვნილებას ნახევრათ ვერ აკმაყოფილებენ. თითქმის 30 წელზე მეტია, რაც აქ სასწავლებელი არსებობს. სასწავლებლის ხარჯები მთლათ სოფლის მცხოვრებთ აწევთ კისერზე. საჭიროა სასწავლებლის გაფართოება და ზედმეტ მასწავლებლის დაქირავება, რომ სასწავლებლის გარეთ დარჩენილ მოსწავლეებს შეძლება მისცენ სწავლისა. ამისთვის საჭიროა შეამდგომლობის აღძვრა სადაც ჯერ არს, რომ ხაზინაც დაეხმაროს მცხოვრებთ, ამისთვის კი საჭიროა სკოლის მზრუნველებმა და მასწავლებლებმა თავი შეიწუხონ, მაგრამ აბა სად მიიცლიან ასეთ უბრალო რამესთვის, როცა ღვინის სმისა და ბანქოს თამაშობისთვისაც არ რჩებათ დრო.

**ძიკია.**

## მუშათა შორის

**ჭიათურა.** ამას წინათ უკვე გვქონდა აღნუსხული გაზეთების ფურცლებზე, თუ რაგვარ მოქმედებით ცდილობს ბ-ნი ილიკო ბახტაძე შავი ქვის ვაგონზე მომუშავე ძველი მუშების წინააღმდეგ რომ სამუშევრები ჩამოართვას და ამით თავის თავი გაასატონოს ძველებურათ. ი. ბახტაძე არ ერიდება არავითარ საშუალებას, რომ მიაღწიოს მიზანს. ის ყველა კანტორებში ხელფასის დაკლებას ცდილობს, თუ ეხლა იღებს მუშა თითო ვაგონის დატვირთვაში 1 მ. 70 კ. ი. ბახტაძე და მისი კომპანია ცდილობს დაუკლოს ფასი 1 მ. 20 კ.-მდე, ვინც ილიკო ბახტაძეს და მის კომპანიასთან მუშაობს.

გადის აგერ ორი თვე, რომ ფული არ მიუღიათ. ეს კაჟბატონები არწმუნებენ მუშებს იმაში, რომ თუ ფული მოვთხოვეთ კანტორებს, ვაგონებს არ დაგვატვირთვინებსო და სხვა. ყველაფერი ყველაფერია, მაგრამ გასაკვირი ისაა, რომ თუ ბ-ნთ ხაზეინებს დარჩენოდათ თავისთვის ფული, მაშინ 300—500 მანეთობით გამოაქვთ და სარგებლობენ თვითონ, მხოლოდ როცა მუშები მოითხოვენ, მაშინ არ იძლევიან.

ამ დღეებში ილიკო ბახტაძის ამხანაგი მელიტონ პოპოლოპულო კანტორებში წასულა ფულების ასაღებათ, რომ მუშებისთვის დაერიგებია „პოლუჩკა", მაგრამ ფულები პოპონდოპულოს აუღია 700 მ. და ტრაპიზონში მოუკურცხლავს. მეორე ამხანაგს გიორგი ქურდაძეს და იასონ ლომიძეს იმის შემდეგ მიუღიათ კიდევ ფული კანტორებიდან და თავის სოფელში წასულან ალბათ, ახალი მუშების ჩამოსაყვანათ. რაც შეეხება მუშებს, ვინც მათთვის არა-საიმედონი აღმოჩნდენ გაისტუმრეს სამუდამოთ ზოგი დაჭერით და ზოგიც ისე.

ასეთი მელა-კუდური მოქმედება არ ახალია ძველია ბახტაძისაგან. ეხლაც ბევრს შეხვდებით ძველ მუშებს, რომ სამი წლის ნამუშავარ ფულს თხოულობენ ბახტაძიდან და ჯერაც ვერ აუღიათ. ეს ვაჟბატონი რომ ზოგიერთ გულუბრყვილო მუშების გული მოიგოს და ამით თავის პოსტი გაამაგროს, აწინაურებს ზოგიერთებს და სხვადასხვა თანამდებობას აძლევს და თანაც ეუბნება: მუშა ყოველთვის მონა-მორჩილი უნდა იყოს უფროსებისა, რომ შეუყვარდეს ხაზეინს და ყოველთვის კაი თვალით იყურებოდესო.

**ცხოვრების უკმაყოფილო.**

—

**თფილისის ტრამვაის დეპო.** ერთხელ კიდევ მინდა აღვნიშნო ის პირობები, რომელნიც ამ ბოლო დროს არსებობენ ჩვენს დეპოში. ის ძველი ხელშეკრულობა, რომელმაც დიდი უთანხმოება გამოიწვია მუშებსა და დირექციას შორის, რომელიც ძილს უფრთხობდა დირექციას „საზოგადოების" ზარალის გამო, უკვე გაუქმდა. დღეს დირექციამ თავიანთ წამოყენებულ პირობებზე დაითანხმეს მუშები და თითქმის ორ თვეზე მეტი გადის მას შემდეგ, რაც მუშებმა ახალ ხელშეკრულობის თანახმათ დაიწყეს მუშაობა. ახალი ხელშეკრულობა შემდეგია: 1) მუშების მიღება და დათხოვნა მათი ნებაა; 2) 8 საათის მაგიერათ მუშაობენ 8 ნახევარ საათს; 3) ღამის მომუშავეები 8 საათის მაგიერათ მუშაობენ ღამეში 6 საათს, ძველ ხელშეკრულობაში კი 8 საათს მუშაობდენ, მაგრამ 8 საათის მაგიერათ ეწერებოდათ 12 საათი, ე. ი. ერთ ნახევარი ს.; 4) არ მუშაობენ: კვირა-უქმე დღე, გარდა საჭირო პირისა, ძველ ხელშეკრულობაში კი, კვირის გარდა ყველა უქმე დღეს მუშაობდენ მუშები და ღებულობენ საათში ნახევარ საათს ზედმეტს. დაინახეს თუ არა მუშებმა წინანდებურათ ვეღარ იღებენ ჯამაგირებს. ეხლა ზედმეტ მუშაობის მადა აღეძრათ. პირველი მაგალითი უჩვენეს ბ-ნმა კაპლანამ და ბ-ნმა ალტიშევმა, არც ბ-ნი სიმონიანცი ჩამორჩენია უკან მათ როდესაც შეეკითხენ მას, რატომ მუშაობს ზედმეტს, მან მუქარით უპასუხა მუშებს...

**ეჭრელი კ—წია.**

### წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ „ჩანგის" 31 ნომერში მოთავსებულია წერილი თ-დ კონსტანტინე ვეზიროვისა ჩემ შესახებ ვითომც მე, როგორც მოურავი სათავად-აზნაურო ბანკისა ოსაურელ და აზარმელი გლეხები ძალიან შევიწროვებულნი მყავნან, ასე რომ თითქმის იმ ზომამდე მიმყავს, რომ ვითომ ჩემ ურჩ გლეხებს ბოქაულს ვაცემინებ ხოლმე. ყოველივე მისი ჩამოთვლილი მაგალითები წერილში მტკნარი სიცრუეა, რადგან ჯერ ერთი, რომ ეს მამული შეადგენს სრულ ჩემ საკუთრებას, რაიცა მაქვს სათავად-აზნაურო ბანკიდან შეძენილი სათანადო ოქმით. და მეორე ის, რომ ბ. ვეზიროვს ჩემი ჯავრი და სიძულვილი სჭირს, რადგან მე მისი მამული შევიძინე.

მაგალითად მოჰყავს ბ-ნ კონსტანტინე ვეზიროვს, რომ მე პავლე გოჩიაშვილს სახაზინო მიწა ჩამოვართვი მკითხველს კარგათ ეცოდინება რომ ბანკი არ იგირავებს სახაზნო და სანადელო ადგილებს, და მე, როგორც მყიდველს, საოსიაურო მამული სრულიათ ბანკიდან მაქვს ჩაბარებული და პავლე გოჩიაშვილზე ის მიწა, სახელდობრ „ნაბალარი" მქონდა მიცემული პირობის ძალით ერთი წლით, შემდეგ მე გამოუცხადე რომ იგი გაენთავისუფლებინა, რადგან მე თითონ მჭირდებოდა, მაგრამ ჩემდა უნებურათ პავლე გოჩიაშვილმა ძალით მოხნა რაშიაც, ადგილობრივი მამასახლისის ბ. ჭოშაძის თანადასწრებით ავაშვებინე და ნაშრომში სასყიდელი ვაძლიე, რაც წესი იყო, მაგრამ მან არ ინება.

შემდეგ ბ-ნ კონსტანტინე ვეზიროვის ბრძანებს საბალახოსას ვითომ მე სულზე სამ-ოთხ მანეთს ვახდევინებდე გლეხებს, ესეც სიცრუეა, რადგან წინათვე თვით ბ. კონსტანტინე ვეზიროვს ❦ მის მონაწილეებს ჩვეულებათ ქონიათ, რომ სხვა მებატონის ხალხს, ე. ი. დანარჩენ ვეზიროვების ხალხს არ შეეძლოთ ესარგებლათ საბალახოთი, რაზედაც დადებულ ბაჟს ახდევინებდენ 60—80 კ., მე კი იგივე იმ ხალხს 20—10 კ. ვახდევინებ, რაიცა შემიძლია დავამტკიცო მოწმეებით და მისივე მეზობლებით, მაგრამ ზემოთაც მოგახსენეთ, რასაც თვით კონსტანტინე ვეზიროვი ჩადიოდა და ხალხს შევიწროებას აყენებდა და ახლა იგი ჩემზე გადმოაქვს.

რათ ლაპარაკობს ბ. კონსტანტინე ვეზიროვი ჩემზე გლეხების შეწუხებაზე, როდესაც თვით უარესს ჩადის. მაგალითად ბ. კოტემ მიჰყიდა ჭანკოტაძეებს ბანკში დაგირავებული და ეხლა ის მამული და ფული ეკარგებათ საწყალ გლეხებს. ამას გარდა, როდესაც ღალას იღებს გლეხებს აძლევს ბარათებს, სადაც არც რიცხვია და არც წელიწადი რა წლის ღალა აქვს მიღებული და ხელმეორეთ ახდევინებს ღალებ' გლეხებს (საბუთი ხელთ მაქვს) აი მოტყუება და შეწუხება გლეხებისა სად არის.

დასასრულ არ შემიძლია კიდევ არ გავიმეორო ჩემი სიმართლე ღალების აღების თაობაზე თუ რომ ბ. კონსტანტინე დაამტკიცებს მას, რომ მე ვითომც ერთი-ორათ ვახდევინებ გლეხებს. იმ შემთხვევაში მართლაც რომ სამარცხვინო ბოძზე გასაკრავი ვიქნები. ვიმეორებ, რომ ყოველივე მისგან ჩამოთვლილი „ჩანგის" 31 ნომერში მუხლები სიმართლეს მოკლებულია და თუ მკითხველი არ დაუჯერებს ჩემ სიმართლეს მე მზათ ვარ ყველა დაინტერესებულ პირს, კოტე ვეზიროვის გარდა, გავყვე სამედიატორო სამართალში სადაც გამოირკვევა სიმართლე და სიმტყუნე.

**ტ. ჯაფარიძე.**

—

გაზ. „ჩვენი აზრის" № 45 მოთავსებული იყო ჩემ მიერ კორესპონდენცია სოფ. ნოსირიდან. სადაც ვამბობდი: სოფ. ნოსირში სიმთვრალე, ყაყლ-მაყალი, ჩხუბი გახშირებულიაო. ვწუხდი გლეხ-კაცობის სიღარიბე სიდატაკეს, მეურნეობის დაუდევრობას, სხვა და სხვა არა ჩვეულებრივი გადასახადების მომატებას, მოწინავების გულ გრილობა უმოქმედობაზე და სხვა. ამის გამო გაზ. „ჩანგის" № 22 მოუთავსებია წერილი გ. ბესელიას, სადაც ის წერს, სოფ. ნოსირიდან მუშა მეზარეს მიერ ხელმოწერილი კორესპონდენცია სიყალბეზე არის აშენებულიო. და დასძენს ყალბი ცნობები ხალხს პრესისადმი ნდობას დაუკარგავსო. 20 ივნისის ინციდენტი გაზვიადებულიაო, იყო უბრალო წალაპარაკები და ისიც ერთი [illegible] წლის განმავლობაში ს. ნოსირში პირველი მაგალითიაო, სიყალბე ამაზე შორს არ წავა. ნამდვილათ, ზემოაღნიშნულ [illegible] მოხსენებაში ერთი მათგანი მძიმეთ დაჭრილა და დღესაც არაა მორჩენილი. ეს ფაქტი ამას მოწმობს ნოსირელი ხალხი. გ. ბესელია გვარწმუნებს სიმთვრალეს და ჩხუბს აქ ადგილი არა აქვსო, და ის ავიწყდება ან განგებ ივიწყებს, რომ მის დუქნის წინ ხშირათ მომხთარა და დღესაც ხდება ხანჯლის ტრიალი, მუშტი-კრივი და სხვა ასეთები. ასეთი მაგალითები ამ მოკლე ხნის განმავლობაში ხუთამდე იყო, ზოგს ხანჯლით უბა გაუჩეხეს, *ზოგმა ერთმანეთს მუშტი-კრივით ცხვირპირი დაუმტვრიეს და სხვ. და ყველა ეს სიმთვრალის შედეგი იყო.

როგორც ჩანს გ. ბესელია განგებ მალავს სიმართლეს. ყველა ამაებს ხელს აფარებს, ის ექომაგება სიმთვრალეს იმიტომ, რომ მას აქვს გაღებული ღვინის სავაჭრო დუქანი ადგილობრივათ. რაც შეეხება მოწინავებზე ჩვენ საყვედურს გ. ბესელია არ ეთანხმება და ამბობს სოფ. ნოსირში გახსნეს კოოპერატიული მომხმარებელი საზოგადოება და სენაკში მეურნის ამხ. ნოსირიდან 15 პირმა ჩაიწერეს თავიო. მართალია, ნოსირიდან მეურნის ამხ. 15 წევრია, მაგრამ საქმე იმაშია, ისინი ჩვენი მოწინავის კატეგორიაში არ შედიან. ჩვენ ვამბობთ ხალხის მოწინავეებზე და არა თავიანთ ჯიბის მოწინავეებზე.

**მუშა მეზარე.**

რედაქტორ-გამომცემელი
**მ. მელიქ-შახნაზარიანცი.**

### მატარებლების მიმოსვლა

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა.

**თფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზ[illegible] დიდი [illegible]

**ბორჯომ[illegible]**
2) სამგზავრო № [illegible], ნაშუადღევის [illegible] 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო № 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. № 78/79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში 1) სააგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო № 77a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**თფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი № 2, დილის 3 ს. 38 ს. (9 ს. 36 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო № 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 7 საათ. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო № 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო № 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო № 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა-უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის საგარაკო № 76a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2. ს. 28 წ.) საგარაკო № 6, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).

ვართან ლისიციანის მონდობილობით
ყიდიან დარჩენილ კარგ

**მიწის ნაჭრებს**

საბურთალოზე—საგაბაშვილოს დაჩა, კავკასიის სამხედრო გზის ახლოს. ფული მიიღება მხოლოდ ჩვენთან. ადრესი: კერძო სააუქციონო ზალა, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა. (3—2)

**კბილის ექიმი**

ს. ნ. მატროსოვიჩ-სანოვიჩი.

დაპლომბვის გაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილების ჩაყენება „პლასტინკით" და „უპლასტინკოთ" სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 (50—12)